29. *Martin J. W.*, Drafting the Contract or Settlement Agreement That says out of Court, The Breaif, 2003, 50.
30. Mediation, <<http://www.bambooweb.com/articles/M/e/Mediation.html>>, [01.02.2019].

31. *Menkel-Meadow C.*, From Legal Dispute to Conflict Resolution and Human Problem Solving: Legal Dispute Resolution in a Multidisciplinary Context, Georgetown University Law Center, Association of American Law School, 54 J. Legal Educ. 7-29, 2004, 9, 13.
32. *Merrills J. G.*, International Dispute Settlement, New York, 2005, 12.
33. *Nadler J.*, Rapport in Negotiation and Conflict Resolution, Marquette Law Review, 2003-2004, 877.
34. *Nachkebia A.*, Interpretation of Civil Law Provisions in Supreme Court Practice (2000-2013), Tbilisi., 2014, 494. See also Case №a-792-1079-09, [09.11.2009].
35. *Nachkebia A.*, Interpretation of Administrative Law Provisions in Supreme Court Practice (2005-2014), Tbilisi., 2015, 364. Case №1369-1308 (K10), 21.04.2010.
36. *Peters A.*, International Dispute Settlement: A Network of Cooperational Disputes, Vol. 14, No.1, 1-34, Ejlil 2003, 3.
37. *Shengelia R., Chanturia L., Zoidze B., Ninidze T., Khetsuriani J.*, Commentary on the Civil Code of Georgia, 2nd Vol., Book 4, Vol., Tbilisi, 2001, 228, 229.
38. *Shotadze T.*, Mortgage, as a Mean to Secure Bank Credit, Tbilisi, 2012, 90 (In Georgian).
39. *Shotadze T.*, Property Law, Tbilisi, 2014, 356, 377, 378 (In Georgian).
40. *Sourdin T.*, Five Reasons Why Judges Should Conduct Settlement Conferences, Australia Centre for Justice Inovacion (ACJI), Monash University Law Review, 2011, 148-152.
41. *Starnes H. E., Finman S. E.*, The Court's Role in Settlement Negotiations, Published in Family Advocate, Vol. 37, No. 3, 2015, 30.
42. *Svanadze G., Dzierishvili Z., Tsertsvadze G., Robakidze I., Tsertsvadze L., Janashia L.*, Contract Law, Tbilisi, 2014, 102 (In Georgian)
43. *Tanford J. A.*, Basics of Negotiation, Indiana University School of Law, 2001, 1, <<http://www.law.indiana.edu/instruction/tanford/web/archive/Negotiation.html>>, [01.02.2019].
44. *Dye T.A.*, Winning the Settlement – Keys to Negotiation Strategy, ABA Section of Litigation Corporate Counsel CLE Seminar, February 11-14, 2010, 9.
45. The thematic look at the decisions of the European Court of Human Rights, SCG, Tbilisi, 2013, 121 (In Georgian).
46. *Totladze L., Gabrichidze G., Tumanishvili G., Turava P., Chachanidze E.*, Explanatory Law Dictionary, Tbilisi, 2012, 296 (In Georgian).
47. *Tsertsvadze G.*, Mediation, Alternative Dispute Resolution (General Review), Tbilisi, 2010, 29, 74, 226, 236, 237, 271-272 (In Georgian).
48. *Tsur M.*, Art of Drafting a Mediation Agreement, Guidelines, Alternative Dispute Resolution, ADR Yearbook, TSU Publishing House, Tbilisi, 2012, 225-227.
49. *Tsvetkov V. L.*, Psychology of Conflict, Tbilisi, 2015, 12, 210 (In Georgian).
50. *Yong K. S., Travis H. P.*, Oral Communication, Skills, Choices, and Consequences, Long Grove, Illion, 2012, 59 (In Georgian).
51. Handbook on the Peaceful Settlement of Disputes between States, Office of Legal Affairs Codification Division, United Nations, New York, 1992, 9.
52. Decision of the Civil Chamber of the Tbilisi Court of Appeals, November 05th, 2013: №2b / 1084-13.
53. Decision of the Chamber of Civil Cases of Tbilisi Court of Appeal 29th July 2015: №2b / 4936-14.
54. Decision of the Civil Chamber of the Tbilisi Court of Appeals on 06th October 2015: №2b / 3275-15.
55. Judgment of the Civil Chamber of the Supreme Court of Georgia of 22th September 2015 on the case: A-790-747-2015.

არბიტრაჟის და სასამართლოს კომპეტენცია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას

სტატიაში განხილულია საარბიტრაჟო წარმოების ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორცაა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და მასთან დაკავშირებული საკითხები. გაანალიზებულია არბიტრაჟის და სასამართლოს კომპეტენცია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას და მათი უფლებამოსილების შეზღუდვის საფუძვლები. კვლევა მოიცავს უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტის განვითარების ევოლუციისა და თანამედროვე საერთაშორისო ტენდენციების, ასევე სასამართლოს და არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა ეფექტიანობის ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, არბიტრაჟი, სასამართლო, არბიტრაჟის და სასამართლოს კომპეტენცია, ქართული სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია.

1. შესავალი

უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საარბიტრაჟო წარმოებისას, რომელიც ითვალისწინებს შესაძლებლობას, დავის განხილვისას შენარჩუნებულ იქნეს არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობა¹. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტი ყოველდღიურად ვითარდება და მეტ მნიშვნელობას იძენს საარბიტრაჟო განხილვისას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მოთხოვნა მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე არ არის უზრუნველყოფილი, მოსარჩელე მხარე დავის დაწყებისას ყოველთვის ცდილობს მოიპოვოს უზრუნველყოფის ღონისძიება მოპასუხე მხარის ქონებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამომავლოდ მისაღები საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება და საარბიტრაჟო წარმოება არ გახდეს მხოლოდ ფორმალური.

უზრუნველყოფის ღონისძიების ინსტიტუტს არ აქვს დიდი ისტორია, მათ შორის საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაშიც, საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონის² (შემდგომში UNCITRAL-ის მოდელური კანონი) თავდაპირველი ვერსია მხოლოდ ზოგადი რეგულირებით შემოიფარგლებოდა,³ 2006 წლის მოდელური კანონის ცვლილებების შემდგომ კი დეტალურად მოწესრიგდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები.⁴

დღეის მდგომარეობით, საერთაშორისოდ აღიარებულია მიდგომა, რომ საარბიტრაჟო წარმოების მიზნებისთვის როგორც არბიტრაჟს, ასევე სასამართლოს აქვს უფლებამოსილება გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება.⁵ თუმცა, განსხვავდება მათი უფლებამოსილება, გადაწყვეტილების მიღების და გამოყენებულის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულების

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მონვეული ლექტორი, თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის თავმჯდომარის თანაშემწე.

¹ *Van Uden BV v. Kommanditgesellschaft in Firma Deco-Line, C – 391/95 (1998).*

² UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, 1985.

³ *Born G.B., International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 1949-1951.*

⁴ UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, 1985 with Amendments as Adopted in 2006, Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as Amended in 2006, Section 4 (b).

⁵ *Born G.B., International Arbitration: Law and Practice, 2012, 213.*

წესი. ამ ორ ორგანოს შორის არსებული კონკურენცია მოდავე მხარეებს მეტ შესაძლებლობას აძლევს დავის მიმდინარეობისას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ მხარეთა მიერ სწორედ იქნეს შერჩეული გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რათა გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება იყოს ეფექტიანი.

შესაბამისად, წინამდებარე სტატია არის მცდელობა გაანზილვებულ იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს კომპეტენცია, მათი უფლებამოსილების შეზღუდვის ფარგლები და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებათა ეფექტიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

სტატია ეფუძნება ქართული კანონმდებლობის, UNCITRAL-ის მოდელური კანონი და იმ ქვეყნების საარბიტრაჟო კანონმდებლობის შედარებითსამართლებრივ ანალიზს, რომელიც ეფუძნება და UNCITRAL-ის მოდელური კანონი რეგულირებას. კვლევისას ასევე გაანალიზებულ იქნა საქართველოში და საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ინსტიტუტების საარბიტრაჟო წესები.

2. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განვითარების ისტორია

2.1. განვითარების საერთაშორისო ტენდენციები

არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ბოლო პერიოდის მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ტრიბუნალებს ჰქონდათ უფლებამოსილება გამოეყენებინათ უზრუნველყოფის ღონისძიება,⁶ ქვეყნების შიდა კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არბიტრაჟის მიერ აღნიშნულ უფლებამოსილებას,⁷ ვინაიდან მიიჩნეოდა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა.⁸ იმ შემთხვევაში თუ მხარე სასამართლოს მიმართავდა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, ითვლებოდა, რომ მხარე კარგავდა უფლებამოსილებას, მიემართა არბიტრაჟისათვის დავის არსებითად გადასაწყვეტად.⁹

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში აღნიშნული მიდგომა არსებითად შეიცვალა და არბიტრაჟებს მიენიჭათ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილება¹⁰, თუმცა ზოგიერთი ქვეყანის კანონმდებლობაში, მაგალითად, იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში¹¹ და ჩინეთის საარბიტრაჟო სამართალში¹² ჯერ კიდევ შენარჩუნებულია აღნიშნული შეზღუდვა.

2.2. განვითარების ტენდენციები საქართველოში

საქართველოში არბიტრაჟის რეგულირება პირველად უკავშირდება 1997 წლის „კერძო არბიტრაჟის“ შესახებ საქართველოს კანონს, რომელიც საკანონმდებლო დონეზე საარბიტრა-

⁶ *Rosenne S.*, *Provisional Measures in International Law: The international Court of Justice and The International Tribunal of the Law of Seas*, 2005, Article 47 on the ICSID Convention authorizes ICSID tribunals to order provisional measures.

⁷ *Born G.B.*, *International Arbitration: Law and Practice*, 2012, 203.

⁸ *Moses M.L.*, *The Principles and Practice of International Commercial Arbitration*, 2nd ed., 2012, 105.

⁹ იქვე.

¹⁰ *Born G.B.*, *International Arbitration: Law and Practice*, 2012, 204.

¹¹ იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 818, <www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html>.

¹² ჩინეთის „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი, 68-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <www.npc.gov.cn/englishnpc/Law/200712/12/content_1383756.htmz>.

ყო სარჩელის უზრუნველყოფას არ ითვალისწინებდა და მხოლოდ მტკიცებულებების უზრუნველყოფა იყო შესაძლებელი სასამართლოს მეშვეობით. აღნიშნული კანონის 23-ე მუხლის თანახმად, „არბიტრაჟი საკუთარი ინიციატივით ან მხარის მოთხოვნით მიმართავს სასამართლოს გამოიჭანოს დადგენილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.“ როგორც აღინიშნა, კანონი არბიტრაჟს არ ანიჭებდა, თუმცა, არც უკრძალავდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის უფლებამოსილებას. როგორც საარბიტრაჟო და სასამართლოს პრაქტიკის შესწავლით დგინდება, იყო შემთხვევები, როდესაც საარბიტრაჟო რეგლამენტი ითვალისწინებდა არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, სასამართლოს მხრიდან კი არბიტრაჟის მიერ გაცემული უზრუნველყოფის ღონისძიება დასაშვებად მიიჩნეოდა, რაც ნათლად ჩანს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი განჩინებიდან.¹³ აღნიშნული განჩინების საფუძველზე არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება სასამართლომ კანონიერად მიიჩნია შემდეგ გარემოებათა გამო: 1) სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას ითვალისწინებდა დავის განმხილველი არბიტრაჟის რეგლამენტი; 2) „კერძო არბიტრაჟის“ შესახებ საქართველოს კანონით არ იყო აკრძალული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება; სასამართლოს განმარტებით, „კომერციული დავების გადასაწყვეტად საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას დავის გადაწყვეტა ალტერნატიული გზით საარბიტრაჟო სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება, რადროსაც მხარეთა დარღვეული უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილი დაცვის იგივე გარანტია უნდა არსებობდეს, რაც საერთო სასამართლოებში მსგავსი დავების განხილვისას. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძველად უფრო ხელსაყრელ ორგანოდ არბიტრაჟის მიჩნევას მხარეთა გადაწყვეტილებას. ამ მიზნით, არბიტრაჟი კანონისა და დებულების ფარგლებში უფლებამოსილი და ვალდებულია, გამოიყენოს დავაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ზომები.“¹⁴ სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს, რომლის 17-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არბიტრაჟის მიერ დასაშვებია. შესაბამისად, ახალი კანონის მიღებამდეც საარბიტრაჟო წარმოებაში დასაშვები იყო არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

რაც შეეხება „არბიტრაჟის შესახებ“ კანონს, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს და რომელიც ეფუძნება UNCITRAL-ის მოდელურ კანონს,¹⁵ მან გაიზიარა მოდელური კანონის მონესრიგება და კანონის მე-17-23-ე მუხლებით დაარეგულირა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები.

კანონის თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზნით განმცხადებელ მხარეს შეუძლია მიმართოს როგორც არბიტრაჟს, ასევე სასამართლოს.¹⁶ ორივე ორგანოს აქვს შესაძლებლობა და შესაბამისი კომპეტენცია მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რაც სრულ შესაბამისობაშია მოდელური კანონის რეგულირებასთან. აღნიშნული ორივე ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ.¹⁷ შესაბამისად, განმცხადებელ მხარეს აქვს შესაძლებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას, ყო-

¹³ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.05.2007 წლის განჩინება, საქმეზე №ას-827-1190-06.

¹⁴ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.05.2007 წლის განჩინება, საქმეზე №ას-827-1190-06.

¹⁵ ბინდერი პ.მ., არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, №10/2007-2/3, 2007, 182-202; ტყემალაძე ს., საჯარო წესრიგი, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა №2, თბილისი, 2013, 14-15.

¹⁶ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02.07.2009, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 17, 23.

¹⁷ UNCITRAL-ის მოდელური კანონის 17; 17 J მუხლები.

ველ კონკრეტულ შემთხვევაში აირჩიოს, რომელი ორგანოს მიერ მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება იქნება უფრო სწრაფი, ეფექტიანი და შედეგზე ორიენტირებული.

3. არბიტრაჟის უფლებამოსილება საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას

3.1. არბიტრაჟის უფლებამოსილება საერთაშორისო პრაქტიკაში

არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისას უნდა დადგინდეს არბიტრაჟის უფლებამოსილების საფუძვლები და შეფასდეს, რამდენად სწრაფ და ეფექტიან მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება.

არბიტრაჟის უფლებამოსილების განსაზღვრისას, გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, მნიშვნელობა ენიჭება საარბიტრაჟო განხილვის ადგილზე მოქმედ სამართალს და მხარეთა შორის არსებულ საარბიტრაჟო შეთანხმებას.

როგორც აღინიშნა, საერთაშორისო საარბიტრაჟო პრაქტიკაში დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ არბიტრაჟს არ ქონდა უფლებამოსილება გამოყენებინა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ან ეს უფლებამოსილება იყო შეზღუდული და მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივას განეკუთვნებოდა.¹⁸ აღნიშნული მიდგომა ემსახურებოდა საჯარო წესრიგის მიზნებს,¹⁹ რათა კერძო ინსტიტუციას (არბიტრაჟს) უსაფუძვლოდ არ შეეზღუდა მოდავე მხარეთა ინტერესები. თუმცა, დღეს არსებული რეგულირებით სამართლებრივი სისტემების უმრავლესობა არბიტრაჟს ანიჭებს უფლებამოსილებას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები. ცალკეულ ავტორთა მოსაზრებით, არბიტრაჟი აღიარებულია საუკეთესო „ფორუმად“, რომელსაც შეუძლია საარბიტრაჟო წარმოებისას ყველაზე უკეთ განსაზღვროს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, ასევე, რომელი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იქნება მიზანშეწონილი კონკრეტული საქმის განხილვისას.²⁰ ეს მოსაზრება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალი დეტალურად იცნობს საქმის მასალებს, აქვს შესაძლებლობა შეაფასოს სარჩელის დაკმაყოფილების პერსპექტივა და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

3.2. არბიტრაჟის უფლებამოსილება ქართული კანონმდებლობის მიხედვით

რაც შეეხება არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონს, UNCITRAL-ის მოდელური კანონის გავლენით, ერთმნიშვნელოვნად აღიარებულია არბიტრაჟის უფლებამოსილება, გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება.²¹ 2015 წელს „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები, აღნიშნული ცვლილებების მიზნად დასახელდა „საქართველოს კანონის ცალკეულ ნორმათა შეუსაბამობა „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელურ კანონთან, ასევე, კანონში არსებული მთელი

¹⁸ Lew J.D.M., Mistelis L.A., Kroll S.M., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, 588.

¹⁹ Blackarby N., Partasides C., Redfern A., Hunter M., Redfern and Hunter on International Arbitration, Oxford ed., 2015, 445.

²⁰ Lew J.D.M., Mistelis L.A., Kroll S.M., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, 588.

²¹ ბინდერი პ.მ., არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, №10/2007-2/3, 2007, 192.

რიგი ხარვეზები და მთარგმნელობითი ხასიათის შეცდომები.²² აღნიშნული ცვლილებები ასევე შეეხო საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს და მის ცნობა-აღსრულების საკითხს,²³ ცვლილებამდე აღნიშნული კანონის 17-ე მუხლის თანახმად, „მხარის მიმართვის საფუძველზე არბიტრაჟი გონივრულ ვადაში წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ავალებს მხარეს უზრუნველყოფის ღონისძიებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებას. ცვლილების შემდგომ კი კანონში შემდეგი ჩანაწერი გაკეთდა: „არბიტრაჟი უფლებამოსილია, მხარის მიმართვის საფუძველზე წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით გონივრულ ვადაში დაავალოს მხარეს“. კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტის ავტორთა განმარტებით, აღნიშნული მუხლის პირვანდელი რედაქციის თანახმად, არბიტრაჟი ვალდებული იყო, გამოეყენებინა უზრუნველყოფის ღონისძიება, რაც ცვლილებების შედეგად, მის უფლებამოსილებად განისაზღვრა.²⁴ როგორც „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირვანდელი რედაქციის, ასევე 2015 წლის ცვლილებების თანახმად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს არბიტრაჟის უფლებამოსილებას გამოიყენოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება საარბიტრაჟო წარმოებისას, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 17.1 მუხლის თანახმად, „საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას“. ამ დანაწესის გათვალისწინებით მხარის შუამდგომლობა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნით შესაძლებელია წინააღმდეგობაში მოდიოდეს საარბიტრაჟო შეთანხმებასთან, რაც თავის თავში გულისხმობს იმას, რომ მხარეებს აქვთ უფლებამოსილება საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხონ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება საარბიტრაჟო წარმოებისას, როგორც საარბიტრაჟო წარმოების დაწყებამდე, ასევე წარმოების დაწყების შემდგომაც.²⁵ მხარეთათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებას ითვალისწინებს UNCITRAL-ის მოდელური კანონი²⁶ და, ზოგადად, საერთაშორისო საარბიტრაჟო წარმოებაში აღიარებულ პრინციპს წარმოადგენს.²⁷ მხარეთათვის მსგავსი უფლებამოსილების მინიჭება ეფუძნება არბიტრაჟის ფუძემდებლურ პრინციპის, რომლის თანახმადაც საარბიტრაჟო წარმოება მიმდინარეობს მხარეთა ნების ავტონომიის საფუძველზე. მხარეთა შეთანხმება შეიძლება პირდაპირ არ კრძალავდეს არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას, მაგრამ თუ მხარეები შეთანხმდნენ ისეთი საარბიტრაჟო წარმოების წესებზე, რომლითაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აკრძალულია, შესაძლებელია ამ ფორმითაც გამოირიცხოს არბიტრაჟის უფლებამოსილება.

²² განმარტებითი ბარათი, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე.

²³ იქვე.

²⁴ იქვე.

²⁵ *Segesser G., Kurth Ch., Interim Measure, International Arbitration in Switzerland, A Handbook for Practitioners, Edited by Kaufmann-Kohler G., Stucki B., 2004, 71.*

²⁶ UNCITRAL-ის მოდელური კანონი მე-17 მუხლი; *Roth M., Commentary on the UNCITRAL Modal Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Weigand F., 2nd ed., Oxford University Press, 2010, 1032.*

²⁷ *Lew J.D.M., Mistelis L.A., Kroll S.M., Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, 588.*

4. სასამართლოს კომპეტენცია საარბიტრაჟო სარჩელი უზრუნველყოფის გამოყენებისას

4.1. სასამართლოს კომპეტენცია საერთაშორისო პრაქტიკაში

საერთაშორისო პრაქტიკაში ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული, რომ სასამართლოს აქვს შესაბამისი კომპეტენცია, გამოიყენოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა.²⁸ აღნიშნული უფლებამოსილება წარმოდგენს იმ გამოწვევას, როდესაც შესაძლებელია სასამართლოს ჩარევა საარბიტრაჟო განხილვაში.²⁹ სასამართლოს აღნიშნული უფლებამოსილება აღიარებული და დადასტურებულია UNCITRAL-ის მოდელური კანონის 17 (J) მუხლის საფუძველზე. მოდელური კანონის აღნიშნული მიდგომა მეტწილად გაზიარებულია საერთაშორისო მასშტაბით ქვეყნების შიდა კანონმდებლობაში. მაგალითისთვის, შვეიცარიის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის თანახმად, როგორც არბიტრაჟს, ასევე სასამართლოს აქვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კომპეტენცია.³⁰ ინგლისის საარბიტრაჟო აქტი კი აღიარებს სასამართლოს უფლებამოსილებას მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევებში. კერძოდ, როდესაც არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა ან არბიტრაჟს არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სარჩელის ჯეროვანი უზრუნველყოფა.³¹

4.2. ქართული სასამართლოს კომპეტენცია

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის თანახმად საარბიტრაჟო წარმოებისას მხარეს შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს. საარბიტრაჟო კანონის რეგულირება ეყრდნობა UNCITRAL-ის მოდელური კანონის 17 (J)-მუხლს, რომლითაც აღიარებულია სასამართლოს მსგავსი უფლებამოსილება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 356¹⁸-ე მუხლის თანახმად „მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები“.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო წარმოებისას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე კომპეტენტური ინსტანცია სააპელაციო სასამართლოა.³² სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ხელმძღვანელობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით და სარგებლობს ყველა იმ უფლებამოსილებით, რასაც საპროცესო კოდექსი ანიჭებს, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, რომელსაც შემხებლობა ვერ ექნება საარბიტრაჟო წარმოებასთან.³³ შესაბამისად, სასამართლო უფლებამოსილია სა-

²⁸ *Born G.B.*, International Arbitration: Law and Practice, 2012, 213.

²⁹ იქვე.

³⁰ შვეიცარიის „კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 183-ე და 185-ე მუხლები.

³¹ იხ. ინგლისის საარბიტრაჟო აქტი, 1996, პარაგრაფი 44.

³² იხ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02.07.2009, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 2.1(ა)-ე; 23.

³³ იხ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02.07.2009, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 23.3; სსსკ-ის 356¹⁸.2 მუხლი, რომლის თანახმადაც სასამართლო ხელმძღვანელობს სსსკ-ის XXIII-ით, გარდა 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა, რომელთა თანახმადაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება ან სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე, რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთი-

არბიტრაჟო წარმოებისას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიების ის სახეები, რომელსაც საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს და არა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში 2015 წელს განხორციელებული ცვლილებები ასევე შეეხო 23-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს უფლებამოსილებას საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფისას. ცვლილებებამდე კანონი გამორიცხავდა სასამართლოს უფლებამოსილებას ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 192-ე მუხლით და უზრუნველყოფის ღონისძიება გამოეყენებინა საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე (წინასწარი უზრუნველყოფა). ცვლილებების შემდგომ გაუქმდა აღნიშნული შეზღუდვა და სასამართლოს მიენიჭა უფლებამოსილება მხარის მიმართვის საფუძველზე გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე.³⁴ სარჩელის წინასწარი უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, ვინაიდან საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შეუძლებლობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს მხარეს. სასამართლოს მხრიდან საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე ვალდებულია 10 დღის ვადაში აღძვრას საარბიტრაჟო სარჩელი, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოპასუხე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გააუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას სსსკ-ის 192.2-ე მუხლის თანახმად.

სასამართლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 356¹⁸-ე მუხლის საფუძველზე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას ამონიშნებს საარბიტრაჟო შეთანხმების ნამდვილობას. ერთ-ერთ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უარი თქვა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე იმ საფუძველზე, რომ მხარეთ შორის არ არსებობდა ნამდვილი საარბიტრაჟო შეთანხმება მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით საარბიტრაჟო წარმოება დაწყებული იყო ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში.³⁵

ასევე, აღნიშვნის ღირსია დანანესი, რომელსაც ქართული საარბიტრაჟო კანონი ადგენს, რომლის თანახმადაც საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებში საარბიტრაჟო განხილვის ადგილის მიუხედავად, სასამართლოს აქვს იგივე უფლებამოსილებანი, რაც სამართალწარმოებაში სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში ქართული სასამართლოს მიერ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საარბიტრაჟო განხილვის ადგილი არის საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ იმ შემთხვევაშიც, როცა საარბიტრაჟო განხილვა საქართველოს ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს.³⁶ მსგავსი მონესრიგება სრულ შესაბამისობაშია თანამედროვე საერთაშორისო საარბიტრაჟო ტენდენციებთან.³⁷ ამ რეგულირების თანახმად, თუ, მაგალითად, საარბიტრაჟო განხილვა მიმდინარეობს საფრანგეთში და მოპასუხის აქტივები იმყოფება საქართველოში, მოსარჩელე მხარე უფლებამოსილია შუამდგომლობით მომართოს ქართულ სასამართლოს და მოითხოვოს აქტივების დაყადაღება, რომლითაც შემდგომში აღსრულდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. ეს რა თქმა უნდა ხელს უწყობს თავად საარბიტრაჟო განხილვის ეფექტიანობას. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2013 წლის 29 ივლისის მიღებულ იქნა პრეცედენტული განჩინება, რომლი-

ერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ.

³⁴ განმარტებითი ბარათი, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე.

³⁵ იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.11.2016 წლის განჩინება, საქმეზე №2/ბ-1085-2016.

³⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.07.2013 წლის განჩინება, საქმეზე №ას-538-511-2013.

³⁷ *Born G.B.*, *International Arbitration: Law and Practice*, 2012, 213.

თაც გამოყენებულ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და დაყადაღდა მოპასუხე მხარის საკუთრებაში არსებული გემი, ძირითადი დავის განხილვა მიმდინარეობდა ლონდონის საზღვაო არბიტრების ასოციაციის არბიტრაჟში (LMAA).³⁸ არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა-აღსრულებას დაექვემდებარა უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 ივლისის განჩინების საფუძველზე.³⁹ აღნიშნული გადაწყვეტილების შემდგომ ქართული სასამართლოს მიერ არაერთ საქმეზე იქნა მიღებული გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ იმ დავებთან მიმართებით, რომელთა არსებითი განხილვაც მიმდინარეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ.⁴⁰

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ქართული სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილების დადგენისას უთითებს, როგორც არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 23-ე მუხლზე, ასევე საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმადაც, სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად არ არის განსაზღვრული, აქვთ თუ არა მხარეებს უფლება საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხონ სასამართლოს უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან მიმართებით. სამეცნიერო ლიტერატურის თანხმად, მხარეებს ამგვარი უფლებამოსილება აღიარებულია,⁴¹ თუმცა გარკვეული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში ამგვარი შეთანხმება შესაძლებელია ვერ აღსრულდეს.⁴² ქართული საარბიტრაჟო პრაქტიკაც იმ მიმართულებით უნდა განვითარდეს, რომ თუ კანონი მხარეებს ანიჭებს უფლებამოსილებას, გამორიცხონ არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, მიზანშეწონილია სასამართლოსთან მიმართებითაც ჰქონდეთ მხარეებს მსგავსი შესაძლებლობა.

5. არბიტრაჟი და სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ეფექტიანობის ანალიზი

ვინაიდან არბიტრაჟის კომპეტენცია, საარბიტრაჟო წარმოებისას გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება, არ არის ექსკლუზიური⁴³ და სასამართლოსაც ენიჭება აღნიშნული უფლებამოსილება, ამდენად დგება ერთგვარი კონკურენციის საკითხი, თუ რომელი ორგანოს მიერ გაცემული უზრუნველყოფის ღონისძიება არის უფრო სწრაფი და ეფექტიანი.⁴⁴ თითოეული ორგანოს მიერ აღნიშნული უფლებამოსილების გამოყენებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი ფაქტორები. არჩევანი მათ შორის მხარის მიერ უნდა გაკეთდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. თუმცა, წინასწარ შეიძლება განისაზღვროს ის კრიტერიუმები, რომელის საფუძველზეც შესაძლებელია მხარემ აირჩიოს მისთვის სასურველი ორგანო.

5.1. უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება

ზოგადი პრინციპის თანახმად, არბიტრაჟი არ არის უფლებამოსილი მის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება პირდაპირ აღსრულდეს სასამართლოს მიერ ცნობა-აღ-

³⁸ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.07.2013 წლის განჩინება, საქმეზე №2/ბ-674-2013.

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.07.2014 წლის განჩინება, საქმეზე №ა-544-შ-17-2014.

⁴⁰ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 09.10.2017 წლის განჩინება, საქმეზე №2ბ-985.

⁴¹ *Born G.B.*, International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 2051.

⁴² *Born G.B.*, International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 2051

⁴³ იქვე.

⁴⁴ *Moses M.L.*, The Principles and Practice of International Commercial Arbitration, 2nd ed., 2012, 106.

სრულების გარეშე.⁴⁵ აღსრულების უფლებამოსილება სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.⁴⁶ მსგავსად ანესრიგებს აღნიშნულ საკითხს UNCITRAL-ის მოდელური კანონი⁴⁷ და შვეიცარიის კანონმდებლობა.⁴⁸ სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების შემთხვევაში კი თავად სასამართლო ფლობს უფლებამოსილებას გასცეს სააღსრულებო ფურცელი.

5.2. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ვადა

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განხორციელდეს უმოკლეს ვადებში, ვინაიდან ამ დროს თითოეულ დღეს ენიჭება მნიშვნელობა. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არბიტრაჟი ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს „გონივრულ ვადაში.“⁴⁹ თუ რა მიიჩნევა „გონივრულ ვადად“ შეიძლება დადგინდეს საარბიტრაჟო შეთანხმებით, დავის განმხილველი არბიტრაჟის რეგლამენტით ან/და საარბიტრაჟო პრაქტიკით. მაგალითად, „თბილისის საარბიტრაჟო პალატის“ საარბიტრაჟო წესების თანახმად, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღება ხდება 3 დღის ვადაში,⁵⁰ „დავების გადაწყვეტის ცენტრის“ (DRC) საარბიტრაჟო წესების მიხედვით კი „მაქსიმალურად მოკლე“ ვადაში.⁵¹ სასამართლო კი ვალდებულია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ერთი დღის ვადაში.⁵² გარდა ამისა, არბიტრაჟის გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ ექვემდებარება ცნობა-აღსრულებას სააპელაციო სასამართლოს მიერ,⁵³ რომელსაც 10 დღის ვადაში გამოაქვს განჩინება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებაზე.⁵⁴ ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულება უნდა განხორციელდეს სხვა ქვეყანაში, ამ შემთხვევაში შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი დრო დაჭირდეს მხარეს სასურველი შედეგის მისაღებად. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე პირდაპირ სასამართლოს მიმართვას უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, შესაძლებელია უფრო სწრაფად მიაღწიოს დასახულ მიზანს.

5.3. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯები

საარბიტრაჟო წარმოება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, როგორცაა საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენისათვის დადგენილი მოსაკრებელი, არბიტრის ჰონორარი, იურიდიული მომსახურების ხარჯი და მათ შორის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფისათვის

⁴⁵ *Born G.B.*, International Arbitration: Law and Practice, 2012, 206.

⁴⁶ *Born G.B.*, International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 2066.

⁴⁷ *Roth M.*, Commentary on the UNCITRAL Modal Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by Frank-Bernd Weigand, 2nd edition, Oxford University Press, 2010, 1042.

⁴⁸ შვეიცარიის კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“, მუხლი 183.2.

⁴⁹ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02.07.2009, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 17.2.

⁵⁰ იხ. თბილისის საარბიტრაჟო პალატის საარბიტრაჟო წესები, მუხლი 6.4.(2).

⁵¹ იხ. დავების გადაწყვეტის ცენტრის საარბიტრაჟო წესები, 32.2 მუხლი.

⁵² იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 193.

⁵³ იხ. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02.07.2009, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 356¹⁸.

⁵⁴ იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 356¹⁸.

განსზღვერული საარბიტრაჟო მოსაკრებელი. „არბიტრაჟის შესახებ“ კანონი არაფერს ამბობს უზრუნველყოფის ხარჯთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი წესრიგდება საარბიტრაჟო ინსტიტუტის საარბიტრაჟო წესებით.⁵⁵ გარდა აღნიშნულისა მხარეს უწევს სახელმწიფო ბაჟის გადახდა, როდესაც ითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების ცნობა-აღსრულებას.⁵⁶ აქედან გამომდინარე, მხარის მიერ აღნიშნული საკითხის გაანალიზებაც მიზანშეწონილია.

5.4. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მესამე პირებთან მიმართებით

ზოგადად არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა მხოლოდ საარბიტრაჟო შეთანხმების მონაწილე მხარეებისთვის.⁵⁷ შესაბამისად, არბიტრაჟი უფლებამოსილია, მხოლოდ საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეთა წინააღმდეგ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები.⁵⁸ მაგალითად, თუ უზრუნველყოფის ღონისძიება მიმართულია საბანკო ანგარიშების წინააღმდეგ, ბანკი არ არის ვალდებული აღასრულოს არბიტრაჟის დადგენილება მანამ, სანამ სასამართლოსგან არ განხორციელდება ცნობა-აღსრულება,⁵⁹ მაშინ როდესაც, სასამართლო მიერ მიღებული განჩინება შესასრულებლად სავალდებულოა ყველასათვის;⁶⁰ გარდა ამისა, სასამართლო უფლებამოსილია მესამე მხარეთა წინააღმდეგაც გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიება და მათ დაავლოს ან აუკრძალოს გარკვეული ქმედების შესრულება.⁶¹

5.5. წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აღიარებული მოსაზრებების თანახმად, არბიტრაჟი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიყენოს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, სანამ მისი შემადგენლობა არ დაკომპლექტდება.⁶² აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებით მიმართულია *Ad hoc* არბიტრაჟების მიმართ, რომელიც იქმნება კონკრეტული საქმის განხილვისთვის და არ აქვს ინსტიტუციური ხასიათი. თუმცა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების მიერ გარკვეული რეგულაციები იქნა შემუშავებული, რომელიც „*Emergency Arbitration*“-ის სახელით არის ცნობილი.⁶³ აღნიშნული ინსტიტუტის მიმართვიანობა ყოველწლიურად იმატებს. მაგალითად, საერთაშორისო სამრეწველო პალატასთან (*International Chamber of Commerce*) არსებულ

⁵⁵ იხ. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის რეგლამენტის დანართი №1-ის 2.3 მუხლი.

⁵⁶ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 39.1(ე¹).

⁵⁷ *Born G.B.*, *International Arbitration: Law and Practice*, 2012, 206.

⁵⁸ *Born G.B.*, *International Commercial Arbitration*, Vol. II, 2009, 1965.

⁵⁹ *Abascal J.M.*, *The Art of Interim Measure*, ICCA Congress Series N 13, General editor: *Berg A. J.*, 2006, 758.

⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 10.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 198.2(დ).

⁶² *Born G.B.*, *International Commercial Arbitration*, Vol. II, 2009, 1970; *Liebscher C.*, *Commentary on Austrian Arbitration Law*, *Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration* Edited by *Weigand F. B.*, 2nd edition, Oxford University Press, 2010, 146.

⁶³ *Born G.B.*, *International Arbitration: Law and Practice*, 2012, 207; ICC-ის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს საარბიტრაჟო წესების (ძალაშია 2012 წლის 1 იანვრიდან) მუხლი 29.

არბიტრაჟს 2017 წლის განმავლობაში მხარეებმა 21-ჯერ მიმართეს „Emergency Arbitration“-ის გამოყენების მოთხოვნით,⁶⁴ ხოლო შვედეთის სამრეწველო პალატის არბიტრაჟს - 3-ჯერ.⁶⁵

ამ მხრივ ქართული კანონმდებლობა, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი, იძლევა შესაძლებლობას არბიტრაჟის მიერ უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულ იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან ნებისმიერ სტადიაზე.⁶⁶ მაგალითად, „თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის“ წესების თანახმად ინსტიტუტის თავმჯდომარის განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება უზრუნველყოფის ღონისძიების განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისად, საჭიროება იმისა, რომ კონკრეტული დავის განმხილველი საარბიტრაჟო ტრიბუნალი ჩამოყალიბებული იყოს, არ არსებობს. რაც შეეხება სასამართლოს, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, 2015 წლის ცვლილებების შემდგომ აქვს უფლებამოსილება იხელმძღვანელოს სსსკ-ის 192-ე მუხლით და განახორციელოს საარბიტრაჟო სარჩელის წინასწარი უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ორივე ორგანო საკმაოდ ეფექტიანი და მოქნილია.

ქართულ სინამდვილეში, იმ შემთხვევაში თუ, მხარე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნით მიმართვას არბიტრაჟს, ორმაგი დროისა და ფინანსური რესურსის ხარჯვა უწევს. შესაბამისად, სასამართლოსთვის მიმართვა უფრო ხელსაყრელია. ქართულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება არ არის ეფექტიანი.⁶⁷ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღიარებულია, რომ საარბიტრაჟო წარმოებისას სასამართლოს მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უფრო ეფექტიან და სწრაფ მიზნის მიღწევის საშუალებას წარმოადგენს ვიდრე არბიტრაჟის,⁶⁸ თუმცა არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც.⁶⁹ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვითაც სასამართლოს ენიჭება ამ მხრივ უპირატესობა, მაგალითად, ბელგიაში სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულება უფრო მარტივად მიიჩნევა,⁷⁰ ჩინეთში კი უფრო სწრაფად,⁷¹ საფრანგეთში სასამართლოს უფრო ეფექტიანად აღიარებენ,⁷² ისევე როგორც გერმანიაში.⁷³ თუმცა ავსტრიაში პირიქითაა და არბიტრაჟის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებას უფრო „მოხერხებულად“ მიიჩნევენ.⁷⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს ის რისკები, რაც დაკავშირებულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან და ისე მიიღოს გადაწყვეტილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით ერთ-ერთი ორგანოსადმი მიმართვის თაობაზე.

⁶⁴ <www.iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-announces-2017-figures-confirming-global-reach-leading-position-complex-high-value-disputes/>.

⁶⁵ <<http://www.sccinstitute.com/statistics/>>.

⁶⁶ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02.07.2009, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, მუხლი 17.

⁶⁷ Tserstvadze G., Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tbilisi, 2011, 142.

⁶⁸ Born G.B., International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 2049.

⁶⁹ Abascal J.M., The Art of Interim Measure, ICCA Congress Series №13, General Editor: Berg A. J., 2006, 558-575.

⁷⁰ Houtte H.V., Commentary on Belgium Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Weigand F. B., 2nd edition, Oxford University Press, 2010, 208.

⁷¹ იქვე, Moser M.J., Choong J., Commentary on China and Hong-Kong Arbitration Law, 208.

⁷² იქვე, Gaillard E., Commentary on France Arbitration Law, 449.

⁷³ იქვე, Houtte H.V., Commentary on Belgium Arbitration Law, 510.

⁷⁴ იქვე, Liebscher C., Commentary on Austrian Arbitration Law, 145.

6. დასკვნა

თანამედროვე საარბიტრაჟო სამართალში აღიარებულია, როგორც არბიტრაჟის, ასევე სასამართლოს კომპეტენცია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, თუმცა, როგორც აღინიშნა, არსებობს გარკვეული გამონაკლისები. ამასთან, მხარეებს აქვთ სრული შესაძლებლობა საარბიტრაჟო შეთანხმებით გამორიცხონ, როგორც არბიტრაჟის, ასევე სასამართლოს უფლებამოსილება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე დავის მიმდინარეობისას. ამ მხრივ ქართული კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო მიდგომებთან და ქართული სასამართლო პრაქტიკაც სწორი მიმართულებით ვითარდება.

ის გარემოება, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას არბიტრაჟსა და სასამართლოს შორის არსებობს გარკვეული კონკურენცია, მხარეებს ანიჭებს მეტ შესაძლებლობას, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართონ იმ ინსტიტუტს, რომლის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებაც უფრო ეფექტიანი იქნება და უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

ბიბლიოგრაფია:

1. „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, 02.07.2009.
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14.11.1997.
3. თბილისის საარბიტრაჟო ინსტიტუტის რეგლამენტი.
4. თბილისის საარბიტრაჟო პალატის საარბიტრაჟო წესები.
5. დავების გადაწყვეტის ცენტრის საარბიტრაჟო წესები.
6. განმარტებითი ბარათი, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტზე.
7. ბინდერი ვ.მ., არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები, ქართული სამართლის მიმოხილვა, №10/2007-2/3, 2007, 192.
8. ტყემალაძე ს., საჯარო წესრიგი, როგორც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თუ მის ცნობა აღსრულებაზე უარის თქმის საფუძველი (ქართული პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა), ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა №2, თბილისი, 2013 წ., 14-15.
9. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 09.10.2017 წლის განჩინება, საქმეზე №2ბ-985.
10. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.11.2016 წლის განჩინება, საქმეზე №2/ბ-1085-2016.
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.07.2014 წლის განჩინება, საქმეზე №ა-544-შ-17-2014.
12. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 29.07.2013 წლის განჩინება, საქმეზე №2/ბ-674-2013.
13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 03.07.2013 წლის განჩინება, საქმეზე №ას-538-511-2013.
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.05.2007 წლის განჩინება, საქმეზე №ას-827-1190-06.
15. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, 1985.
16. UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, 1985 with Amendments as Adopted in 2006.
17. Civil Procedure Code of Italy.
18. China Law on Arbitration.
19. Swiss International Privat Law.
20. English Arbitration Act, 1996.
21. ICC International Arbitration Rules.
22. Abascal J.M., The Art of Interim Measure, ICCA Congress Series N 13, General editor: Berg A. J., 2006, 558-575.

23. *Blackaby N., Partasides C., Redfern A., Hunter M.*, Redfern and Hunter on International Arbitration, Oxford ed., 2015, 445.
24. *Born G.B.*, International Arbitration: Law and Practice, 2012, 203-213.
25. *Born G.B.*, International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 1949-1951, 1965, 1970, 2049, 2051, 2066.
26. *Gaillard E.*, Commentary on France Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by *Weigand F. B.*, 2nd edition, Oxford University Press, 2010, 449.
27. *Houtte H.V.*, Commentary on Belgium Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by *Weigand F. B.*, 2nd edition, Oxford University Press, 2010, 208.
28. *Lew J.D.M., Mistelis L.A., Kroll S.M.*, Comparative International Commercial Arbitration, Kluwer Law International, 2003, 588.
29. *Liebscher C.*, Commentary on Austrian Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration Edited by *Weigand F. B.*, 2nd edition, Oxford University Press, 2010, 145-146.
30. *Moser M.J., Choong J.*, Commentary on China and Hong-Kong Arbitration Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration Edited by *Weigand F. B.*, 2nd edition, Oxford University Press, 2010, 208.
31. *Moses M.L.*, The Principles and Practice of International Commercial Arbitration, 2nd ed., 2012, 105-106.
32. *Rosenne S.*, Provisional Measures in International Law: The international Court of Justice and The International Tribunal of the Law of Seas, 2005.
33. *Roth M.*, Commentary on the UNCITRAL Modal Law, Practitioner's Handbook on International Commercial Arbitration, Edited by *Weigand F. B.*, 2nd edition, Oxford University Press, 2010, 1032-142.
34. *Segesser G., Kurth Ch.*, *Interim Measure*, International Arbitration in Switzerland, A Handbook for Practitioners, Edited by *Kaufmann-Kohler G. Stucki B.*, 2004, 71.
35. *Tserstvadze G.*, Brief Commentary to the Georgian Arbitration Law 2009, Tbilisi, 2011, 142.
36. <www.npc.gov.cn/englishnpc/Law/2007-12/12/content_1383756.htmz>.
37. <www.iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-announces-2017-figures-confirming-global-reach-leading-position-complex-high-value-disputes/>.
38. <<http://www.sccinstitute.com/statistics/>>.
39. <www.jus.uio.no/lm/italy.arbitration/818.html>.
40. Van Uden BV v. Kommanditgesellschaft in Firma Deco-Line, C – 391/95 (1998).

Competence of Arbitration and National Courts to Apply Arbitral Interim Measures

The paper discusses one of the crucial institutes of arbitration proceedings - interim measures and related thereto aspects. Subject to analysis is the competence of arbitral tribunal and court of law in ordering interim measures in arbitration and the grounds for restriction of their powers.

The paper also offers the review of the evolution of the institute of interim measure and modern international trends. Particular attention is paid to the analysis of the efficiency of interim measures applied by court of law and arbitral tribunal.

Keywords: *interim measure in arbitration, arbitral tribunal, national courts, competence of the arbitral tribunal and national courts, international competence of georgian courts.*

1. Introduction

The institute of interim measure plays an important role in arbitration proceedings, allowing for the maintenance of the existing factual and legal statuses in the course of dispute resolution.¹ The institute of interim measure in arbitration is developing on a day-to-day basis and is acquiring increased importance for arbitral proceedings. When claimant's claim is not secured on the basis of an agreement entered into by and between the parties, upon initiation of a dispute a claimant party always tries to reach the imposition of an interim measure on the assets of the opponent party to ensure the enforcement of a future award.

The institute of interim measure has not very long-standing history, inter alia, in arbitral proceedings, the initial version of UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration² (UNCITRAL Model Law) limited itself only to general regulation.³ The amendments made to Model Law in 2006 provided for detailed regulation of the matters related to interim measures in arbitration.⁴

When ordering an interim measure it is important to determine whether which authority is empowered to make a decision on ordering an interim measure, whether or not this power is subject to any limitation and the interim measure of which authority is the most efficient and allows for the attainment of the goal.

Consequently, this paper aims at the analysis of the competence of the authority making a decision on ordering an interim measure, the scope of limitation of this power and the matters related to the efficiency of applied interim measures.

The article is based on comparative law analysis of Georgian legislation, Model Law and arbitration law of those countries, that are based on and share the regulation of the Model Law. The review will also cover the analysis of arbitration rules of globally recognized permanent arbitration institutions.

* Ph.D Student and Visiting Lecturer at Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Law, Assistant to the Chairman of Tbilisi Arbitration Institute.

¹ *Van Uden BV v. Kommanditgesellschaft in Firma Deco-Line*, C – 391/95 (1998).

² UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, 1985.

³ *Born G.B.*, International Commercial Arbitration, Vol. II, 2009, 1949-1951.

⁴ UNCITRAL Model Law on International Commercial Arbitration, 1985 as Amended in 2006. Explanatory Note by the UNCITRAL Secretariat on the 1985 Model Law on International Commercial Arbitration as Amended in 2006, Section 4 (b).

2. History of Development of Interim Measures in Arbitration

2.1. International Trends of Development

Application of interim measures in arbitration can be regarded as a recent accomplishment despite the fact the international tribunals were empowered to apply interim measures.⁵ However, the domestic legislation of the countries did not provide for the option of ordering interim measures by arbitral tribunal⁶ as it was believed, that ordering interim measures was the sole competence of the court of law,⁷ and, on the other hand, if a party applied to the court for ordering an interim measure, it was believed, that the party concerned would lose the right to apply to the Arbitration for the resolution of the dispute on merits.⁸

It should be mentioned that this approach has essentially changed lately and arbitral tribunals were granted the right to apply interim measures,⁹ however, in some countries the above restriction is still maintained, for example, Article 818 of the Italian Code of Civil Procedure does not entitle the arbitrators to grant interim measures of protection.¹⁰ Similar approach is embodied in the Arbitration Law of the People's Republic of China.¹¹

2.2. Development Trends in Georgia

In early 1976 Retail Store Employees Union Local 1001 (Union) waged a successful campaign to organize the employees of Joseph Macaluso, Inc. (Company) at its four retail stores in Tacoma and Seattle, Washington. The Union was elected the collective bargaining representative of the Company's employees, was certified as such by the NLRB, and the Company and Union commenced negotiating a collective bargaining agreement. Several months of bargaining between Company and Union negotiators failed to produce an agreement, and the parties decided to enlist the assistance of a mediator from the FMCS. Mediator Douglas Hammond consequently attended the three meetings between the Company and Union from which arised the issue before the courtp

During the spring and summer of 1976 the Company engaged in conduct which led the NLRB to charge it with unfair labor practices. Proceedings were held and the NLRB ruled that the Company and Union had finalized a collective bargaining agreement at the three meetings with Hammond, and that the Company had violated NLRA²² sections 8(a)(5) and (1) by failing to execute the written contract incorporating the final agreement negotiated with the Union. The NLRB ordered the Company to execute the contract and pay back-compensation with interest, and seeks enforcement of that order in this court. In response, the Company contends that the parties have never reached agreement, and certainly did not do so at the meetings with Hammond.

The testimony of the Union before the NLRB directly contradicted that of the Company. The two Union negotiators testified that during the first meeting with Hammond the parties succeeded in reducing to six the number of disputed issues, and that the second meeting began with Company acceptance of a Union proposal resolving five of those six remaining issues. The Union negotiators further testified that the sixth issue was resolved with the close of the second meeting, and that in response to a Union negotiator's statement "Well, I think that wraps it up," the Company president said, "Yes, I guess it does". The third meeting with Hammond, accordance to the Union, was held only hours before the Company's employees ratified the agreement, was called solely for the purpose of explaining the agreement to the Company accountant who had not attended the first two meetings, and was an amicable discussion involving no negotiation.

The Company testimony did not dispute that the first meeting reduced the number of unsettled issues to six, but its version of the last two meetings contrasts sharply with the Union's account. The Company representatives testified that the second meeting closed without the parties having reached any semblance

²⁰ *Riskins L.L., Westbrook E.J., Guthrie C., Reuben C.R., Robbennolt K.J., Welsh A.N.*, Dispute Resolution and Lawyers, 4th ed., West Academic Publishing, 2009, 493-495.

²¹ National Labor Relation Board, <www.nlr.gov>.

²² National Labor Relations Act, 49 stat. 449 (1935), as Amended by Pub. L. No. 101, 80th Cong., 1st Sess., 1974, and Pub. L. No 257, 86th Cong., 1st Sess., 1959.

of an agreement, and that the third meeting was not only inconclusive but stridently divisive. While the Union representatives testified that the third meeting was an amicable explanatory discussion, the Company negotiators both asserted that their refusal to give in to Union demands caused the Union negotiators to burst into anger, threaten lawsuits, and leave the room at the suggestion of Hammond, who was thereafter unable to bring the parties together.

In an effort to support its version of the facts, the Company requested that the administrative law judge (ALJ) subpoena Hammond and obtain his testimonial description of the last two bargaining sessions. The subpoena was granted, but was later revoked upon motion of the FMCS. Absent Hammond's tie-breaking testimony, the ALJ decided that the Union witnesses were more credible and ruled that an agreement had been reached. The Company's sole contention in response to this request for enforcement of the resulting order to execute the contract is that the ALJ and NLRB erred in revoking the subpoena of Hammond, the one person whose testimony could have resolved the factual dispute.

Revocation of the subpoena was based upon a long-standing policy that mediators, if they are to maintain the appearance of neutrality essential to successful performance of their task, may not testify about the bargaining sessions they attend. Both the NLRB and the FMCS (as *amicus curiae*) defend that policy. The Court of Appeals presented the following questions of first impression: can the NLRB revoke the subpoena of a mediator capable of providing information crucial to resolution of a factual dispute solely for the purpose of preserving mediator effectiveness?.. We must determine whether preservation of mediator effectiveness by protection of mediator neutrality is a ground for revocation consistent with the power and duties of the NLRB under the NLRA.

The NLRB's revocation of Hammond's subpoena conflicts with the fundamental principle of Anglo-American law that the public is entitled to every person's evidence... The above facts present a classic illustration of the need for every person's evidence: the trier of fact is faced with directly conflicting testimony from two adverse sources, and a third objective source is capable of presenting evidence that would, in all probability, resolve the dispute by revealing the truth. Under such circumstances, the NLRB's revocation of Hammond's subpoena can be permitted only if denial of his testimony "has a public good transcending the normally predominant principle of utilizing all rational means for ascertaining truth."

The Court concluded that the public interest in maintaining the perceived and actual impartiality of federal mediators does out-weigh the benefits derivable from Hammond's testimony. This public interest was clearly stated by Congress when it created the FMCS: It is the policy of the United States that a) sound and stable industrial peace and the advancement of the general welfare, health, and safety of the Nation and of the best interests of employers and employees can most satisfactorily be secured by the settlement of issues between employers and employees through the processes of conference and collective bargaining between employers and the representatives of their employees; b) the settlement of issues between employers and employees through collective bargaining may be advanced by making available full and adequate governmental facilities for conciliation, mediation, and voluntary arbitration to aid and encourage employers and the representatives of their employees to reach and maintain agreements concerning rates of pay, hours, and working conditions, and to make all reasonable efforts to settle their differences by mutual agreement reached through conferences and collective bargaining or by such methods as may be provided for in any applicable agreement for the settlement of disputesp 29 U.S.C. paragraph 171. Federal mediation has become a substantial contributor to industrial peace in the United States. The FMCS, as *amicus curiae*, has informed us that it participated in mediation of 23,450 labor disputes in fiscal year 1977, with approximately 325 federal mediators stationed in 80 field offices around the country. Any activity that would significantly decrease the effectiveness of this mediation service could threaten the industrial stability of the nation. The importance of Hammond's testimony in this case is not so great as to justify such a threat. Moreover, the loss of that testimony did not cripple the fact-finding process. The ALJ resolved the dispute by making a credibility determination²³, a function routinely entrusted to triers of fact throughout our judicial system.

²³ Credibility determination - is the situation when a judge decides on the compatibility of witnesses' testimony with truth based on inner faith and only then makes a decision, <<https://definitions.uslegal.com/c/credibility/>>.

The court has concluded, therefore, that the complete exclusion of mediator testimony is necessary to the preservation of an effective system of labor mediation, and that labor mediation is essential to continued industrial stability, a public interest sufficiently great to outweigh the interest in obtaining every person's evidence. No party is required to use the FMCS; once having voluntarily agreed to do so, however, that party must be charged with acceptance of the restriction on the subsequent testimonial use of the mediator. We thus answer the question presented by this case in the affirmative: the NLRB can revoke the subpoena of a mediator capable of providing information crucial to resolution of a factual dispute solely for the purpose of preserving mediator effectiveness. Such revocation is consonant with the overall powers and duties of the NLRB, a body created to implement the NLRA goals of ~promoting the flow of commerce by removing certain recognized sources of industrial strife and unrest" and "encouraging practices fundamental to the friendly adjustment of industrial disputes..."²⁴

4. Conclusion

Based on above deliberations, analysis, critical and comparative law analysis it can be said as a recommendation, that it is necessary to regulate confidentiality issue at the legislative level and to make the following steps:

1. Mediation should be recognized as a confidential process. This should apply both to the parties and mediators and any third person (trainee, intern, Ministry personnel, etc), who has access to information, exchanged through mediation, given their official duties. According to national legislation a party may state any time, that agreement failed due to faulty action of the mediator, who influenced the party, and the existing regulations the mediators are not allowed to make a statement about a declaration impairing his reputation in any place other than the court of law. It should as well be mentioned, that a collective dispute may have an impact on other entities as well, and when exchanging information about them, the third persons should have the right to demand non-dissemination of such information, amongst them, irrespective of party agreement.

2. It should be defined, whether what kind of information can be made public by a mediator. To this end the EU Directive and UNCITRAL Conciliation Rules can be employed, according to which the parties, including mediators, are required to keep confidential information and are banned from using information, obtained through mediation, as an evidence at the court of law. However, abidance by confidentiality principle is not justified, when public policy, the best interests of children are jeopardized, or when non-disclosure of confidential information harms physical or psychological integrity of a person. Disclosure of confidential information is also justified in cases, when it is necessary in order to implement or enforce an agreement resulting from mediation.²⁵ It will be reasonable to take account of the privilege, envisaged by the USA Uniform Mediation Act and circumstances, excluding this privilege.

3. It is important to introduce a sanction, providing for liability for the breach of confidentiality duty, or provision for the foregoing should become subject to agreement between the parties before the initiation of mediation and in the case of failure to come to an agreement the preference should be given to statutory stipulation. Otherwise any stipulation about confidentiality will remain unenforceable.

4. Legislative regulation of confidentiality duty will also remain unenforceable if the legislator does not define the scope of mediation process. Consequently, it is recommended to redraft Paragraph 6 of Article 3 of Resolution N301 of the Government of Georgia on Approval of the Procedure of Consideration and Resolution of a Collective Dispute through Mediation Procedures. Worth mentioning is the mediation process includes not only mediator's meeting with a party/representative either individually or together, but any form of communication as well, which should also be subject to confidentiality duty.

²⁴ *Alfini J., Press B.S., Stulberg B.J., Mediation Theory and Practice*, 3rd ed., LexisNexis, 2013, 207-210.

²⁵ Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council, 21 May 2008, on certain aspects of mediation in civil and commercial matters, in *Tsertsvadze G., (Edit.), Perspectives of Legal Regulation of mediation in Georgia*. National Centre for Alternative Dispute Resolution, Tbilisi, 2013, 27.

5. The does law not prescribe the exact validity period for confidentiality duty and when does it expire, consequently, both the Labor Code and Governmental Resolution should specify this issue. It is also important to regulate the aspects of mediator's ethics. A mediator, who received confidential information during the process, should be act as a representative of the persons who are in a way connected with held proceedings of the case, essentially, actually related thereto.²⁶

Bibliography:

1. Law of Georgia on Broadcasting, 23/12/2004.
2. Organic Law of Georgia - Labor Code, 27/12/2010.
3. Code of Civil Procedure of Georgia, 14/11/1997.
4. Resolution N301 of the Government of Georgia on Approval of the Procedure of Consideration and Resolution of a Collective Dispute through Mediation Procedures, 25/11/2013.
5. *Iremasivili K.*, Challenges for mediators in collective Labor disputes, TSU Alternative Dispute Resolution Centre, University publishing-house, yearbook, 2015, 11 (in Georgian).
6. *Chitashvili N.*, *Specificity of Certain Ethical Obligations of an Attorney-Mediator and Necessity of Regulation* , Law Journal N2, University publishing-house, 2016 ,41 (in Georgian).
7. *Chitashvili N.*, Scope of Regulation of Mediation Ethics and the Addresses of Binding by Ethics Standard, Law Journal, 2016 N1, University publishing-house, 2016, 35 (in Georgian).
8. *Tsertsvadze G.*, Mediation, Meridiani, Tb., 2010, 48, 52-53 (in Georgian).
9. *Tsertsvadze G.*, (Edit.), *Perspectives of Legal Regulation of mediation in Georgia*, National Centre for Alternative Dispute Resolution, Tb., 2013, 24-29 (in Georgian).
10. National Labor Relations Act, 49 stat. 449 (1935), as amended by Pub. L. No. 101, 80th Cong., 1st Sess., 1974, and Pub. L. No 257, 86th Cong., 1st Sess., 1959.
11. *Alfini J.*, *Press B.S.*, *Stulberg B.J.*, Mediation Theory and Practice, 3rd ed., LexisNexis, 2013, 206-207, 210.
12. *Cooley W.J.*, Defining the Ethical Limits of Acceptable Deception in Mediation, Pepperdine Dispute Resolution Law Journal, Vol.4, 2004, 264-265.
13. *De Palo G.*, *D'Urso L.*, *Trevor M.*, *Branon B.*, *Canessa R.*, *Cawyer B.*, *Florence R.*, European Parliament, Brussels, Rebooting the Mediation Directive: Assessing the Limited Impact of its Implementation and Proposing Measures to Increase the Number of Mediation in the EU, 2014, 31-32.
14. *Doellgast V.*, *Benassi Ch.*, Collective Bargaining, London School of Economics and Political Science, Edward Elgar Handbook of Employee Voice, Forthcoming, 2014, 1.
15. *Foley K.*, *Cronin M.*, Professional Conciliation in Collective Labor Disputes, A Practical Guide, 12.
16. *Kovach K.K.*, Mediation in a Nutshell, Thomson West, University of Texas, 2003, 173, 175-176.
17. *Riskins L.L.*, *Westbrook E.J.*, *Guthrie C.*, *Reuben C.R.*, *Robbennolt K.J.*, *Welsh A.N.*, Dispute Resolution and Lawyers, 4th ed., West Academic Publishing, 2009, 482, 485-486, 493-495.
18. <www.nlr.gov>.
19. <<https://www.facebook.com/RealuriSivrtse/videos/1737580433120658/>>.
20. <<https://www.facebook.com/RealuriSivrtse/videos/1737764076435627/>>.
21. <<https://www.facebook.com/Georgianmediatradeunion/videos/907948492648037/>>.
22. <www.mediate.com/articles/israel13.cfm>.
23. <http://www.oit.org/ifpdial/information-resources/national-Labor-law-profiles/WCMS_158904/lang--en/index.htm>.

²⁶ *Chitashvili N.*, Specificity of Certain Ethical Obligations of an Attorney-Mediator and Necessity of Regulation, Law Journal N2, University publishing house, 2016, 41.

ადვოკატი წარმომადგენლის ეთიკური ვალდებულებები მედიაციის პროცესში (ქართული და ამერიკული მოდელის შედარებითსამართლებრივი ანალიზი)

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი აღიარებულია დასავლური სამართლის სისტემებით. მედიაცია განსაკუთრებულად სწრაფი ტემპით ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარდა, რასაც ცხადია თან სდევდა წამოჭრილი სადავო საკითხების დოქტრინული განხილვები და დასაბუთებები, შესაბამისად დაგროვდა განსაკუთრებით ღირებული ცოდნა და გამოცდილება, რომელიც უთუოდ საინტერესო უნდა იყოს მედიაციის სფეროში მომუშავე იურისტი და არაიურისტი სპეციალისტებისთვის.

საქართველოში უკვე დაიწყო მედიაციის სფეროს განვითარებისთვის საჭირო ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება. საპროცესო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შემდგომ, საქართველოს პარლამენტმა განსახილველად მიიღო მედიაციის შესახებ კანონის პროექტი, რომელსაც კენჭი უახლოეს პერიოდში ეყრება.

მედიაციის პროცესის მონაწილეებს აქვთ განსაკუთრებული სტატუსი, როლი და ფუნქცია, რომელიც მათ უნდა შეასრულონ მედიაციის პროცესის წარმატებულობისთვის. განსაკუთრებული როლი და ფუნქცია მხარის ადვოკატ წარმომადგენლებს აკისრიათ, რომლებიც მსგავსად სასამართლო ან საარბიტრაჟო დავისა ცდილობენ მხარის ინტერესებისთვის საუკეთესო შედეგის მიღებას, თუმცა განსხვავებით კლასიკური დავისა, ადვოკატები თვისობრივად სრულიად განსხვავებულ კომუნიკაციაში შედიან მედიაციის პროცესის მონაწილეებთან და არ მოქმედებენ წინასწარ განსაზღვრული საპროცესო სამართლებრივი შეზღუდვების პირობებში. ცხადია, რომ მათი წარმომადგენლობა არ არის გათავისუფლებული ყოველგვარი ნორმისგან და პასუხს აგებენ სხვადასხვა ტიპის კანონდარღვევისთვის. მოცემული ნაშრომი სწორედ მიმართულია მსგავსი ნორმების იდენტიფიცირებისა და ანალიზისკენ, შესაბამისად, განიხილავს ნორმების შესაძლო დახვეწას და განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, მედიაციის პროცესი, ადვოკატი წარმომადგენელი, ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები, ეთიკის კოდექსი, ეთიკის კომისია, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი.

1. შესავალი

სამედიატორო საქმიანობის პოპულარიზაციასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანი და აქტუალური ხდება მედიაციის პროცესის ეთიკური საკითხების სამართლებრივი მონესრიგება და სისტემატიზაცია. მხარეთა ინტერესების სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი ენიჭებათ მხარეთა ადვოკატ წარმომადგენლებს, რომელთაც სამედიატორო მოლაპარაკებების პროცესში, უნდა უზრუნველყონ კლიენტებისთვის კვალიფიციური და კეთილსინდისიერი იურიდიული მომსახურების განწევა. მნიშვნელოვანია, არსებული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში მოხდეს მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი წარმომადგენლის საქმიანობის სამართლებრივი შეფასება და მასზე დაკისრებული ეთიკური ვალდებულებების განსაზღვრა.

საქართველოში და ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტუალურია მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი წარმომადგენლებისთვის ეთიკური ვალდებულებების ნორმატიული დარეგულირების საკითხი. არსებობს გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა რეგულირების საგნის და მეთოდის გარშემო. საქართველოში მედიაციის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი.

ნაბიჯი გადაიდგა სასამართლო მედიაციის დანერგვით და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანით¹. მოცემულ მომენტში მიმდინარეობს მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის² დამუშავება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურაში.³

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოიკვლიოს თუ რა სახის ეთიკური ვალდებულებები აკისრია ადვოკატ წარმომადგენელს მედიაციის პროცესში. უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს, მიიჩნევა თუ არა ადვოკატის მიერ მედიაციის პროცესში მხარის წარმომადგენლობა საადვოკატო საქმიანობად და ვრცელდება თუ არა მასზე ადვოკატის უნივერსალური ეთიკური ვალდებულებები.

ნაშრომში განხილული იქნება ადვოკატის ეთიკური ვალდებულებების ნორმატიული მონესრიგება და მოქმედების თავისებურებები საქართველოს და ამერიკის შეერთებული შტატების სამართლის სისტემებში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების ნორმატიულ და დოქტრინალურ განმარტებებს, მათი მედიაციის პროცესში ჩართვის იურიდიულ შესაძლებლობას.

2. ზოგადი მიმოხილვა და მოქმედი კანონმდებლობა

ადვოკატი წარმომადგენლის ჩართულობა უთუოდ აუცილებელია ნებისმიერ სამართლებრივად მნიშვნელოვან პროცესში თუ პროცედურაში. ამ მხრივ, საგამონაკლისო არც მედიაციის პროცესია. მედიატორს აკისრია ეთიკური ვალდებულება უზრუნველყოს მხარეების თვითგამორკვევის შესაძლებლობა.⁴ თვითგამორკვევისთვის სათანადო პირობების შექმნა უმთავრესად გულისხმობს მხარისთვის შესაძლებლობის შექმნას, მიიღოს ყველა სათანადო კონსულტაცია სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისგან. ამ თვალსაზრისით უდავოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატის, როგორც სახელმწიფოს მხრიდან აღიარებული სამართლის სპეციალისტის როლი. ადვოკატმა, მედიაციაში მონაწილე მხარის სასარგებლოდ, უნდა უზრუნველყოს ყველა შესაძლო სამართლებრივი რისკის შეფასება და მხარის ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.⁵

ადვოკატებისა და საადვოკატო საქმიანობის შესახებ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა მოიცავს ეროვნულ ნორმატიულ აქტებს, მათ შორის ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონს; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს, ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებას, და საქართველოს მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო აქტებს: ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსს; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას და ადვოკატთა როლის შესახებ გაეროს ძირითად პრინციპებს.⁶ ნიშანდობლივია, რომ არსებული

¹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, 14/11/1997, თავი XXI, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>>, [02.08. 2019].

² საქართველოს კანონის პროექტი მედიაციის შესახებ, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, კონკრეტული თარიღი, <<https://info.parliament.ge/#law-drafting/17577f>>>, [02.08. 2019].

³ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, სიახლე, <<http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7634>>>, [02.08. 2019].

⁴ წულაია ო., თვითგამორკვევა, როგორც ძირითადი ღირებულება მედიაციის პროცესში ეთიკის კოდექსებსა და სამართლებრივ ნაშრომებში: კონკურენცია დავის მონაწილე მხარეთა ავტონომიასა და შინაარსობრივ სამართლიანობას შორის, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, თსუ-ის გამომცემლობა, 2017, 255.

⁵ იქვე, 256.

⁶ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, კანონმდებლობის ნუსხა, <<https://gba.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91/%E1%83%A>

საკანონმდებლო ბაზა არ ითვალისწინებს მედიაციის პროცესში მონაწილე მხარის ადვოკატი წარმომადგენლებისთვის სპეციალურ ეთიკურ ნორმებს, რომელიც ადვოკატმა უნდა დაიცვას მედიაციის პროცესში ჩართული კლიენტის მიმართ.

როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკოსი იურისტების წრეებში დომინირებულია, მოსაზრება, რომ მედიატორმა მხოლოდ უნდა წაახალისოს მედიაციის მონაწილე მხარეები, რათა მათ მიიღონ კვალიფიციური სამართლებრივი კონსულტაცია და უზრუნველყონ სამართლებრივი რისკების შეფასება წარმომადგენლის მეშვეობით.⁷ მოცემულ მომენტში საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვა,⁸ რომლის ოფიციალური ტექსტი (კანონის პროექტის), ასევე არ ითვალისწინებს ეთიკის განსაკუთრებულ ნორმებს მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი წარმომადგენლისთვის.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მედიაციის, როგორც დავის ალტერნატიული გადაწყვეტის და ამ პროცესში ადვოკატის როლის განსაზღვრის შესახებ სამეცნიერო მსჯელობები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება.⁹ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის „მოდელური წესის“ პრეამბულის თანახმად ადვოკატს კლიენტის წინაშე ეკისრება სხვადასხვა მოვალეობები, მათ შორის, და არამარტო, კლიენტის ინტერესების გულმოდგინებით დაცვა საკანონმდებლო სისტემით დადგენილი წესების შესაბამისად, ასევე, ადვოკატს, როგორც მოლაპარაკებების წარმმართველს, ევალება კლიენტის უპირატესი ინტერესის დაცვა.¹⁰ მოცემული ნორმის შინაარსში მოიაზრება იურიდიული მომსახურების მრავალი ფორმა. „მოდელური წესის“ პრეამბულის მიხედვით, ადვოკატმა კლიენტს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია გაუწიოს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი იურიდიული მომსახურება, ასევე, იურიდიული მომსახურება, როგორც მესამე ნეიტრალურმა პირმა. აქედან გამომდინარე მიჩნეულია, რომ „მოდელური წესის“ ნორმების გავრცელება შესაძლებელია სხვა სამართლებრივ ურთიერთობებზე ადვოკატს და კლიენტს შორის, მათ შორის, მედიაციის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ „მოდელური წესის“ ოფიციალურ ტექსტში არ არსებობს მითითება, მედიაციის პროცესში ადვოკატის ჩართულობაზე და შესაბამისად მასზე „მოდელური წესით“ დადგენილი ეთიკური ვალდებულებების გავრცელებაზე, უნდა მივიჩნიოთ, რომ მასზე გავრცელება აქტით განმტკიცებული ადვოკატის ეთიკური მოვალეობები.¹¹ დოქტრინაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ საქმის მომზადების და დავის პერსპექტივების განსაზღვრაზე, როგორც იურიდიული მომსახურების სახეს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიაციის პროცესში და თავის მხრივ მოიაზრება გულმოდგინების პრინციპის დაცვად.¹²

ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია წარმოადგენს უმთავრეს ამერიკულ პროფესიულ გაერთიანებას, რომლის ფუნქციებსაც მოიცავს იურიდიული სკოლების (იურიდიული ფაკულტეტების) პროგრამული აკრედიტაცია პროფესიული ეთიკის „მოდელური წესის“ შემუშავება და განმარტება. აღსანიშნავია, რომ ამერიკის იურისტთა ასოციაციას არანაირი კავშირი არ

1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98>, [02.08. 2019].

⁷ ჩიტაშვილი ნ., მედიაციის ეთიკის რეგულირების ფარგლები და ეთიკის სტანდარტით ბოჭვის ადრესატები, „სამართლის ჟურნალი“, №1, თსუ-ის გამომცემლობა, 2016, 26-27.

⁸ საქართველოს კანონის პროექტი „მედიაციის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, <<https://info.parliament.ge/#law-drafting/17577f>>>, [02.08.2019].

⁹ Strong G. E., Role of the Lawyer in Arbitration, Mediation and Conciliation, 1956, 1

¹⁰ Model Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004, <https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_preamble_scope.html>, [02.08.2019].

¹¹ Sherrill J. A., Ethics for Lawyers Representing Clients in Mediations, 2012, 2.

¹² Nolan-Haley J. M., Lawyers, Clients, and Mediation, Notre Dame Law Review, Fordham, 1998, 7.

აქვს ადვოკატის ლიცენზირებასთან. აღნიშნული უფლებამოსილება გააჩნია თითოეულ შტატს ინდივიდუალურად.¹³

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქართული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ანალოგის სახით, წარმოდგენილია „ადვოკატის ქცევის მოდელური წესი“ („Model Rules of Professional Conduct“ – შემდგომში „მოდელური წესი“),¹⁴ რომელიც ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის ადგენს ეთიკური ქცევის სტანდარტებს.

ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო „შეთანხმების ეთიკური გაიდლაინები“ („The Ethical Guidelines for Settlement Negotiations“ - შემდგომში „გაიდლაინებს“).¹⁵ „გაიდლაინები“ წარმოადგენს სარეკომენდაციო სამართლებრივი ბუნების მქონე სამუშაო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა შორის მოლაპარაკებების ეტაპზე კერძო სამართლის ადვოკატი წარმომადგენლებისთვის ეთიკურ ნორმათა სისტემას. პრეამბულაში წარმოდგენილია მითითება, რომ დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ დავების ფარგლებში, მოლაპარაკებების მხარეთა შორის დავის სამართლიანი გადაწყვეტის ნახაღისება.¹⁶ „გაიდლაინებით“ დადგენილი ნორმების გამოყენება რეკომენდირებულია, როგორც სასამართლო დავის, ასევე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფარგლებში, მათ შორის მედიაციის და კერძო არბიტრაჟის პროცესებში.

3. მედიაცია და საადვოკატო საქმიანობა

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების განწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას.¹⁷ მოცემული მოწესრიგება წარმოდგენს და ჩამოთვლის იმ იურიდიული მომსახურების სახეებს, რომელიც ადვოკატმა უნდა გაუწიოს კლიენტს. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით, მისი შემადგენლობა და იმპერატიული შინაარსი არ ტოვებს შესაძლებლობას, რომ ადვოკატის მიერ მედიაციის პროცესში მონაწილე მხარის წარმომადგენლობა მივიჩნიოთ საადვოკატო საქმიანობად.

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის განმარტებისას შესაძლებელია გამოვიყენოთ სამართლის მეთოდებით დადგენილი კანონის ტელეოლოგიური განმარტების მეთოდი. ტელეოლოგიური განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის ობიექტური მიზნის განსაზღვრას. მისი მიზანია განსაზღვროს სამართლის ნორმის განხორციელების შესაძლებლობა. კერძოდ, რამდენად შეესაბამება კანონმდებლის წარმოდგენები, რომელიც საფუძვლად

¹³ ხურციძე ნ., მათიაშვილი მ., მილეთორნო ჯ., ზამბახიძე თ., ცისკაძე მ., ჯოხაძე გ., იურიდიულ პროფესიათა ეთიკური საკითხები, ამერიკის იურისტთა ასოციაცია კანონის უზენაესობის ინიციატივის გამოცემა: სასწავლო მასალები, თბ., 2009, 18

¹⁴ Model Rules of Professional Conduct, American Bar Association, preface, 2004, <https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html>, [02.08.2019].

¹⁵ The Ethical Guidelines for Settlement Negotiations, American Bar Association, Official Website, 2002, 1, <https://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/settlementnegotiations.athcheckdam.pdf>, [02.08.2019].

¹⁶ იქვე, 1.

¹⁷ საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20/06/2001, მუხლი 2, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>>, [02.08.2019].

დაედო ნორმის მიღებას, დღეს ამ ნორმის გამოყენებისას მიღებულ გადაწყვეტილებებს. ტელელოგიური განმარტება შეეხება სამართლის ნორმის დამოკიდებულებას სამართლებრივი უსაფრთხოების, თანასწორობისა და მიზანშეწონილობის პრინციპების მიმართ.¹⁸

ფართო გაგებით, კანონის განმარტების მეთოდებს განეკუთვნება სამართლის ნორმათა განვრცობა იმ შემთხვევებში, რომლებიც კანონმდებლის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ან განზრახ არ იქნა მონესრიგებული, ასევე, შემთხვევები, რომლებიც გარემოებათა ცვლილებამ გამოიწვია (ტელელოგიური ექსპანსია). კანონის განვრცობითი განმარტება წარმოადგენს მოსამართლის უფლებამოსილებას, რომელმაც კანონი ანალოგიის გზით სამართლებრივად ერთგვაროვან შემთხვევებზე უნდა გამოიყენოს.¹⁹

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.²⁰

სსიპ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ეთიკის კოდექსის („ეთიკის კოდექსი“) პრეამბულაში დეკლარირებულია აქტი, მიზანი, დაადგინოს და განსაზღვროს ადვოკატის ქცევის წესები საზოგადოების და კლიენტის წინაშე – ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მიზანია საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე განსაზღვროს პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესები და დაამკვიდროს ადვოკატის ვალდებულება შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის.²¹

„ეთიკის კოდექსის“ პირველი მუხლით განსაზღვრულია ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ძირითადი პრინციპები – ადვოკატი ვალდებულია, პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი პრინციპებით: დამოუკიდებლობა, ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.²²

გაეროს პრინციპების მიხედვით კლიენტის წინაშე ადვოკატთა მოვალეობაა: დაეხმარონ კლიენტს ყველა შესაძლო ფორმით და მიიღონ ყველა ზომა მისი ინტერესების დასაცავად,²³ ასევე ადვოკატებმა ყოველთვის პატივი უნდა სცენ თავიანთი კლიენტის ინტერესებს.²⁴ ხსენებული პრინციპების საფუძველზე, კლიენტის ინტერესების დაცვისას, ადვოკატებმა უნდა გაუწიონ თავიანთი კლიენტებს კონსულტაცია და დახმარება კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების დაცვით.²⁵

¹⁸ თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბ., 2012, 244.

¹⁹ იქვე, 245.

²⁰ საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 20/06/2001, მუხლი 6, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/15472>>, [02.08.2019].

²¹ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012, პრეამბულა, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>, [04.08.2019].

²² ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012, მუხლი პირველი, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>, [04.08.2019].

²³ გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, 1990, მ. 13, <<http://gba.ge/%22/new/admin/-editor/uploads/files/regulaciebi/gaeros%20ZiriTadi%20principebi%20advokatTa%20rolis%20Sesaxe.pdf/%22>>, [04.08.2019].

²⁴ გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, 1990, მ. 15, <<http://gba.ge/%22/new/admin/-editor/uploads/files/regulaciebi/gaeros%20ZiriTadi%20principebi%20advokatTa%20rolis%20Sesaxe.pdf/%22>>, [04.08.2019].

²⁵ გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ, მ. 25, <<http://gba.ge/%22/new/admin/-editor/uploads/files/regulaciebi/gaeros%20ZiriTadi%20principebi%20advokatTa%20rolis%20Sesaxe.pdf/%22>>, [05.08.2019].

აღიარებულია, რომ იურიდიული პრაქტიკის არსებობისათვის აუცილებელია კლიენტის მონაწილეობა ურთიერთობაში. საქმიანობის ასეთად შეფასებისთვის არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, მათგან შესაძლებელია დასახელდეს „სამართლებრივი შეფასების“ ტესტი, რომლის თანახმად, იურიდიული პრაქტიკისთვის პირს სავალდებულო წესით ესაჭიროება სპეციალური იურიდიული განათლება და უნარები. ეს საქმიანობა გულისხმობს სამართლებრივი პრინციპების გამოყენებას, რჩევის მიცემის ან სხვაგვარი დახმარების გზით პირის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეს მახასიათებელი განიმარტება ასევე როგორც იურიდიული განათლებით შეძენილი უნარი, რომელიც გულისხმობს სამართლის ნორმებისა და ფილოსოფიური პრინციპების გამოყენებას კლიენტის კონკრეტული პრობლემის კონტექსტში, მის მოსაგვარებლად.²⁶

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია კლიენტის ინტერესები, როგორც ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ამოსავალი წერტილი. ეთიკის კოდექსი საზოგადოებაში ადვოკატის ფუნქციის განმარტებისას განსაზღვრავს, რომ „ადვოკატი უნდა ემსახურებოდეს სამართლიანობის ინტერესებს და მათ, ვისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და განმტკიცება აქვს დაკისრებული. გარდა ამისა, ადვოკატის მოვალეობაა არა მხოლოდ კლიენტის პოზიციის დაცვა, არამედ იგი ვალდებულია იყოს კლიენტის მრჩეველიც“. კლიენტის ინტერესების პატივისცემა ადვოკატის ვალდებულებაა.²⁷ საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო სამართლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ საადვოკატო საქმიანობად ასევე, უნდა ჩაითვალოს მედიაციის პროცესში ადვოკატის მიერ მხარის წარმომადგენლობა, ვინაიდან, მედიაციის პროცესში, ადვოკატის ფუნქციაა მოახდინოს არსებული სამართლებრივი პრობლემის სამართლებრივი ანალიზი, განსაზღვროს კლიენტის აუცილებელი ინტერესი და მისი პოზიცია. აქედან გამომდინარე განახორციელოს სამართლებრივი მოქმედებები, რომელიც საუკეთესოდ დაიცავს კლიენტის ინტერესებს.

4. ადვოკატ წარმომადგენელზე ეთიკური ვალდებულებების გავრცელება მედიაციის პროცესში

4.1. ქართული მოდელი

საადვოკატო საქმიანობის ცნების და ფარგლების განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანია დადგინდეს მედიაციის პროცესში ადვოკატ წარმომადგენელზე, ადვოკატის ზოგადი ეთიკური ვალდებულებების გავრცელების პირობა და მომენტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, ფორმალური თვალსაზრისით, არ განსაზღვრავს მედიაციაში მონაწილე მხარის წარმომადგენელი ადვოკატებისთვის განსაკუთრებული ეთიკური ვალდებულებების ნორმატიულ მოწესრიგებას. მოქმედ ნორმატიულ აქტებში არ არის წარმოდგენილი მითითება მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატი წარმომადგენლის მიმართ ფარგლებში გენერალური ეთიკური ვალდებულებების დაკისრების შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ეთიკის კოდექსის“ მე-11 მუხლის დანაწესი – ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული

²⁶ ჩიტაშვილი ნ., ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, თსუ-ის გამომცემლობა, 2016, 32–33.

²⁷ კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძაძე ი., ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, თბ., 2011, 14.

ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.²⁸

საკითხის სრულყოფილი გაანალიზებისთვის მნიშვნელოვანია იურიდიულ პრაქტიკაში მიღებულ აქტებში წარმოდგენილი განმარტებების გააზრება. ზემოხსენებული განმარტების და ადვოკატ წარმომადგენელზე, მისი, როგორც ადვოკატის სტატუსის მატარებელზე, ეთიკური ვალდებულებების დაკისრების საილუსტრაციოდ გამოდგება, დისციპლინურ და სასამართლო პრაქტიკაში მომხდარი ქვემოთ შემთხვევა.

„ეთიკის კოდექსი“ მე-11 მუხლის, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის და უზენაესი სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ ადვოკატს დაეკისრება ადვოკატის ზოგადი ეთიკური ვალდებულებები ადვოკატის სტატუსის შექმნისთანავე და ეთიკური ნორმების ფარგლები არ შემოიფარგლება კონკრეტულ საქმეზე საადვოკატო საქმიანობის მიმდინარეობით. ამ საკითხთან მიმართებით, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ (2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება²⁹), რასაც დაეთანხმა საკასაციო სასამართლოს დისციპლინური პალატა:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დადგინდად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის დარბაზში ადვოკატსა და მომჩივანს შორის სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო კონფლიქტი, რომელიც დასრულდა მცირე ფიზიკური შეხებით, კერძოდ, მომჩივნის მიერ ხელთ არსებული ჩანაწერის ქნევით, ხოლო ადვოკატის მხრიდან სიტყვიერ შელაპარაკებასთან ერთად ფეხის მოქნევით. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“. ასევე, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმად, „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“³⁰

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესაბამება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს უშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.³¹

ეთიკის კომისიის შეფასებით, ის ფაქტი, რომ იგი სამოქალაქო დავაში იყო მოპასუხე მხარე, არ ცვლის იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მან სხდომის მონაწილეებს შეურაცხყოფა მიაყენა.³² მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპ-

²⁸ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012, მუხლი 11, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.

²⁹ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, 5.

³⁰ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2014 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილება, 5.

³¹ იქვე.

³² იქვე, 6.

ლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადანყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა განმარტავს, საქართველოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს, ანუ ისეთ ქცევის წესებს, რომლებიც უკავშირდება საადვოკატო საქმიანობას. „სადისციპლინო პალატას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ პროფესიული მოთხოვნები არ შემოიფარგლება მხოლოდ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის ჩამონათვალით და იგი ვრცელდება ადვოკატებს შორის ურთიერთობაზე. მართალია, ადვოკატი მოცემულ სამოქალაქო დავაში გამოდიოდა მხარედ, მაგრამ პროფესიული ქცევის ნორმების დაცვა ადვოკატს მართებს არა მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ სასამართლოში მხარედ გამოსვლის შემთხვევაშიც. საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობა არ შემოიფარგლება სასამართლო დარბაზით. ადვოკატი 2006 წლიდან ეწევა საადვოკატო საქმიანობას. ის გარემოება, რომ სასამართლო პროცესზე იგი გამოდიოდა არა წარმომადგენლად, არამედ მხარედ, არ ათავისუფლებდა მას პროფესიული ქცევის წესის დაცვისაგან. ეთიკის კოდექსი შეიცავს ნორმებს, რომლებიც ეხება არა მხოლოდ უშუალოდ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ადვოკატის ქცევას, არამედ ადვოკატის ქცევისადმი ზოგად სტანდარტებს საადვოკატო კორპუსის წევრებს შორის ურთიერთობებში. ასე მაგ: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“; მე-9 მუხლის შესაბამისად, „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს, ან უცხო ქვეყნის სასამართლოს, ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“; მე-10 მუხლის თანახმად, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას“. ამდენად, აღნიშნული ნორმები ვრცელდება სასამართლოს გარეთ ადვოკატებს შორის ურთიერთობაზეც, ხოლო ამ წესების დაცვა ადვოკატს მით უფრო მართებს სასამართლო დარბაზში, როდესაც ყველასთვის ცნობილია მისი პროფესიული სტატუსი, მისი ქმედება აღიქმება არა როგორც ფიზიკური პირის, არამედ როგორც ადვოკატის ქმედება. ამდენად, სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის დასკვნას იმის შესახებ, რომ ადვოკატი თავისი ქცევით - მოსარჩელე მხარის ადვოკატის შეურაცხყოფით, არ გაუფრთხილდა პროფესიულ პრესტიჟს, არ გამოიჩინა მოთმინება და უგულბებლყო პროფესიული ქცევის წესები. ადვოკატის ქცევა უნდა პასუხობდეს ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში, სასამართლო დარბაზში ადვოკატის ნებისმიერი მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატის პროფესიულ ღირსებას, ეთიკის სტანდარტებს, რომლის დაცვაზეც უნდა ზრუნავდეს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, წარმოადგენდა თუ არა ის კლიენტს, თუ თავად იყო მხარე სასამართლოში.³³

უზენაესი სასამართლოს ზემოხსენებული განმარტება ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს, რომ ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები დაკავშირებულია უშუალოდ მის სტატუსთან და არ შემოიფარგლება იმ საადვოკატო საქმიანობით, რომელსაც ადვოკატი ახორციელებს კონკრეტულ შემთხვევაში. ამავე დასაბუთებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადვოკატზე, რომელიც მედიაციის პროცესში წარმოადგენს მხარეს, ვრცელდება ეთიკის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმები და იგი ვალდებულია დაიცვას ზემოხსენებული ეთიკური ნორმები კლიენტის და მედიაციის პროცესის სხვა მონაწილეების მიმართ.

³³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 6 მაისის №დს-შ/5-15 გადანყვეტილება, 4-5.

4.2. ამერიკული მოდელი

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქართული ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ანალოგის სახით, წარმოდგენილია „ადვოკატის ქცევის მოდელური წესი“ („Model Rules of Professional Conduct“ – შემდგომში „მოდელური წესი“).³⁴ ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ მიიღო „შეთანხმების ეთიკური გაიდლაინები“ (“The Ethical Guidelines for Settlement Negotiations“ – შემდგომში „გაიდლაინები“).³⁵ „გაიდლაინები“ წარმოადგენს სარეკომენდაციო სამართლებრივი ბუნების მქონე სამუშაო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მხარეთა შორის მოლაპარაკებების ეტაპზე კერძო სამართლის ადვოკატი წარმომადგენლებისთვის ეთიკურ ნორმათა სისტემას. პრეამბულაში წარმოდგენილია მითითება, რომ დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ დავების ფარგლებში, მოლაპარაკებების მხარეთა შორის დავის სამართლიანი გადაწყვეტის ნახალისება.³⁶ „გაიდლაინებით“ დადგენილი ნორმების გამოყენება რეკომენდებულია, როგორც სასამართლო დავის, ასევე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ფარგლებში, მათ შორის მედიაციის და კერძო არბიტრაჟის პროცესებში. მნიშვნელოვანია, რომ „გაიდლაინების“ მიერ დადგენილი რეგულაციები მიემართება უშუალოდ მედიაციის პროცესში მონაწილე ადვოკატ წარმომადგენლებს, შესაბამისად მათ აკისრებს მთელ რიგ ეთიკურ ვალდებულებებს, რაც თავისი შინაარსით ამომწურავად ემთხვევა „მოდელური წესით“ დადგენილ ეთიკურ ნორმებს.

5. ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსის და „მოდელური წესის“ შესაბამისად

5.1. ქართული მოდელი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კოდექსი ადგენს ადვოკატთა პროფესიულ ეთიკის ნორმებს და ქცევის წესებს.³⁷ „ეთიკის კოდექსის“ პირველი მუხლი (I თავი) განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპებს – ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობა, კოლეგიალობა.³⁸

ეთიკის კოდექსის II თავით დადგენილია ადვოკატის ეთიკური ვალდებულებები, რომელიც მას ეკისრება სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან ურთიერთობაში.

- ურთიერთობა ადვოკატსა და კლიენტს შორის

ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, სამართლებრივი აქტები და რეგულაციები ადვოკატის პროფესიის შესახებ როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დება და კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა.

³⁴ Model Rules of Professional Conduct, American Bar Association, 2004, <https://www.americanbar.org/groups/professional_responsibility/publications/model_rules_of_professional_conduct/model_rules_of_professional_conduct_table_of_contents.html>, [04.08.2019].

³⁵ The Ethical Guidelines for Settlement Negotiations, American Bar Association, Official Website, 2002, 1, <https://www.americanbar.org/content/dam/aba/migrated/2011_build/dispute_resolution/settlementnegotiations.authcheckdam.pdf>, [04.08.2019].

³⁶ იქვე, 1.

³⁷ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, 2012, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>, [04.08.2019].

³⁸ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012, მუხლი პირველი, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.

- კლიენტის ინტერესების დაცვა

ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.

- ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.³⁹

პროფესიული საიდუმლოება

1. ადვოკატი ვალდებულია:

ა) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად;

ბ) კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

ადვოკატი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმას აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების ფორმის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დარღვევა იწვევს ამ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.⁴⁰

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას კანონი ადვოკატ წარმომადგენლებს ნებისმიერი სახის წარმომადგენლობისას აკისრებს, თუმცა მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის დაცვა დაკავშირებულია მხარეთა პოზიციების დაახლოვებასთან და მედიაციის წარმატებით დასრულებასთან. კონფიდენციალურობის გარანტია აძლიერებს ნდობას, როგორც მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, ასევე მედიატორებს შორის, აძლიერებს მედიატორის მიუკერძოებლობის რწმენას.⁴¹ საერთო სასარჩელო წარმოებისას სამოქალაქო პროცესი წარიმართება საქვეყნოობის პრინციპის შესაბამისად, რაც საქმესთან შემხებლობაში არმყოფ ნებისმიერ მესამე პირს აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს მხარეთა პერსონალურ მონაცემებს.⁴² მიუხედავად იმისა, რომ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია სხდომა დახუროს, აღნიშნული მაინც დაკავშირებულია გარკვეულ პროცედურებთან და მოსამართლის შინაგან რწმენასთან,⁴³ რაც საერთო ჯამში არ ქმნის კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიებს. სასამართლო პროცესის საპირისპიროდ სამედიატო გარემო და არსებული პროცედურა ქმნის დაცულობის განსაკუთრებულ შეგრძნებას და ხელს უწყობს მედიაციის წარმატებით დასრულებას.⁴⁴

- ინტერესთა შეუთავსებლობა

- ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას.

³⁹ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბ., 2012, მუხლი 8, <http://gba.ge/uploads/files/regulaciebi/eTikis_kodexi.pdf>.

⁴⁰ იქვე, მუხლი 7.

⁴¹ ბერაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, თსუ-ის გამომცემლობა, სპეციალური გამოცემა, 2017, 51.

⁴² იბ. პერსონალურ მონაცემთა განმარტება, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 28/12/2011, მუხლი 2, ნაწილი პირველი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437?publication=19>>, [04.08.2019].

⁴³ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საკანონმდებლო მაცნე, 14/11/1997, მუხლი 9, ნაწილი 1-4, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962>>, [04.08.2019].

⁴⁴ ბერაძე ს., კონფიდენციალურობის დაცვის სპეციფიკა მედიაციის პროცესში, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, თსუ-ის გამომცემლობა, სპეციალური გამოცემა, 2017, 52.

- ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.

